

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში გრანტების გაცემის წესი და საგრანტო კონკურსის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ახალგაზრდობის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მიერ გრანტების გაცემის წესი (შემდგომში – წესი) აწესრიგებს ახალგაზრდული და საზოგადოებრივი პროექტების დასაფინანსებლად საგრანტო კონკურსის გამართვისა და გრანტის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებს, ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში.
2. თემატური მიმართულებები, რომელთა ფარგლებშიც ხორციელდება გრანტის გაცემა, განისაზღვრება სააგენტოს ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერების ხელშეწყობის ქვეპროგრამის არსობრივი ნაწილის დამტკიცებისას).
3. საგრანტო კონკურსის მიზანია ახალგაზრდული და საზოგადოებრივი პროექტების მხარდაჭერა და იმ ორგანიზაციათა საგრანტო პროგრამებით წახალისება, რომლებიც ემსახურებიან ახალგაზრდების განვითარებასა და საზოგადოებაში მათ აქტიურ მონაწილეობას.
4. გრანტი გაიცემა კანონიერების, სამართლიანობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, ობიექტურობის, მიუკერძოებლობის, კოლეგიალურობის, კორექტულობის, თავისუფალი და ჯანსაღი კონკურენციის, რაციონალურობის, ანგარიშვალდებულების, კანონის წინაშე თანასწორობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების დაცვით.

მუხლი 2.

1. წესში გამოყენებულ ტერმინებს, ამავე წესის მიზნებისთვის, აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
 - ა) **გრანტი** – სააგენტოს მიერ გრანტის მიმღებისთვის საგრანტო პროექტის განსახორციელებლად, უნაღდო ანგარიშსწორების გზით, უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი რესურსი, ფულადი ფორმით;
 - ბ) **საგრანტო კონკურსი** – თავისუფალი კონკურენციის პრინციპზე დაყრდნობით ჩატარებული პროცედურა, რომელიც მიზნად ისახავს საუკეთესო საგრანტო პროექტის გამოვლენას;
 - გ) **საგრანტო განაცხადი** – გრანტის მიღების უფლების მოპოვების შესახებ წარმოდგენილი საგრანტო პროექტი და სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია (ასეთი დოკუმენტაციის წარმოდგენის მოთხოვნის შემთხვევაში);
 - დ) **განმცხადებელი**: საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის სადამფუძნებლო დოკუმენტაციით განსაზღვრულია, რომ ამ ორგანიზაციის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ახალგაზრდების განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები და ამასთან:
 - დ.ა) საქართველოს რომელიმე რეგიონში განსახორციელებელ პროექტთან მიმართებით განმცხადებელი შეიძლება იყოს ის ორგანიზაცია, რომლის იურიდიული მისამართიც რეგისტრირებული უნდა იყოს მითითებულ რეგიონში;
 - დ.ბ) „დ.ა“ ქვეპუნქტში მითითებული ორგანიზაცია საგრანტო პროექტში შეიძლება მონაწილეობდეს იმავე რეგიონში იურიდიული მისამართით რეგისტრირებულ სხვა (ამ „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ) ან/და საქართველოში რეგისტრირებულ სხვა ნებისმიერ ორგანიზაციებთან „კონსორციუმის“ (ორგანიზაციების მიერ თავიანთ რესურსების და აქტივობების კოორდინაცია საერთო მიზნის მისაღწევად) პრინციპით და იმ პირობით, რომ უშუალო განმცხადებელი შეიძლება იყოს მხოლოდ აღნიშნული ორგანიზაცია;

დ.გ) საქართველოში რეგისტრირებული ახალგაზრდული ქოლგა ორგანიზაციასთან (ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს საქართველოში რეგისტრირებულ, ამ „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ ორგანიზაციებს) მიმართებით, ასეთი სახის განმცხადებელს რეგიონების მასშტაბით უნდა ჰყავდეს ჯამში მინიმუმ 10 (ათი) წევრი ორგანიზაცია.

ე) **საგრანტო პროექტი** – საგრანტო დაფინანსების მოპოვების მიზნით, სააგენტოს ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად განმცხადებლის მიერ სააგენტოში წარდგენილი დოკუმენტი;

ვ) **საგრანტო პერიოდი** – გამარჯვებული საგრანტო პროექტის განხორციელების დროის მონაკვეთი, რომელიც გათვალისწინებულია საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ სააგენტოს ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ან/და საგრანტო ხელშეკრულებით;

ზ) **გრანტის მიმღები** – საგრანტო კომისიის მიერ გამოვლენილი განმცხადებელი, რომლის მიერ წარდგენილმა საგრანტო პროექტმაც გაიმარჯვა საგრანტო კონკურსში და რომელთანაც გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება;

თ) **საგრანტო კომისია** – სააგენტოს ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი კოლევიალური ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს საგრანტო კონკურსის ორგანიზებულ მართვას, ექსპერტთა კომისიის მიერ ქულათა სისტემით დადებითად შეფასებული საგრანტო პროექტების განხილვას, გრანტის მიმღების გამოვლენას და საგრანტო კონკურსთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას;

ი) **ექსპერტთა კომისია** – სააგენტოს ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი კოლევიალური ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს საგრანტო კონკურსის ორგანიზებულ მართვას, საგრანტო განაცხადების მიღებას, მათ განხილვას, ქულათა სისტემით შეფასების კრიტერიუმების მიხედვით საგრანტო პროექტების შეფასებას და საგრანტო კონკურსთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას;

კ) **საგრანტო ხელშეკრულება** – სააგენტოსა და გრანტის მიმღებს შორის გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულება გრანტის გაცემის შესახებ;

ლ) **საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი** – საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგრანტო პროექტის მიმდინარეობისა და შესრულების მონიტორინგი;

მ) **საგრანტო ანგარიში** – საგრანტო პროექტის დასრულებამდე ან/და დასრულების შემდგომ, გრანტის მიმღების მხრიდან საგრანტო პროექტის განხორციელების შესახებ სააგენტოში წარდგენილი წერილობითი ანგარიში, რომლის ფორმა/ფორმები მტკიცდება სააგენტოს ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

ნ) **საანგარიშო პერიოდი** – საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც გრანტის მიმღები ახორციელებს გრანტის ხარჯვას და დასრულების შემდგომ წარუდგენს სააგენტოს საგრანტო ანგარიშს;

ო) **ტექნიკური ხარვეზი** – მექანიკური ხასიათის არაარსებითი შეცდომა, რომელიც დაშვებულია დოკუმენტაციიდან მონაცემების უზუსტო გადატანის ან/და გაანგარიშების დროს, ასევე ორთოგრაფიული ან სხვა სახის ტექნიკური უზუსტობა, რომლის გამოსწორება არ გამოიწვევს პროექტის არსებით ცვლილებას საპროექტო კონკურსის პირობებთან მიმართებაში;

პ) **დღე** – სამუშაო დღე.

2. ამ წესში მითითებული სხვა ტერმინები და ცნებები განიმარტება მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 3. საგრანტო კონკურსის დაფინანსება, გრანტის საერთო მოცულობა და გრანტების რაოდენობა თემატური მიმართულებების მიხედვით

საგრანტო კონკურსი ფინანსდება წლიური სახელმწიფო ბიუჯეტიდან სააგენტოსთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში. გრანტის საერთო მოცულობის განაწილებას თემატური მიმართულებების მიხედვით განსაზღვრავს სააგენტოს ხელმძღვანელი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით (ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერების ხელშეწყობის ქვეპროგრამის არსობრივი ნაწილის დამტკიცებისას).

მუხლი 4. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირება

1. გრანტის მოპოვება შეიძლება მხოლოდ საგრანტო კონკურსის წესით. საგრანტო კონკურსს აცხადებს და ადმინისტრირებას უწევს სააგენტო, ამ წესის შესაბამისად.
2. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირების მიზნით სააგენტოს ხელმძღვანელი უზრუნველყოფს ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერების ხელშეწყობის ქვეპროგრამის არსობრივი ნაწილის დამტკიცებას, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
 - ა) საგრანტო კონკურსის თემატური მიმართულებების შესახებ;
 - ბ) საგრანტო კონკურსის ჩატარების პირობების შესახებ;
 - გ) საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმების შესახებ.
3. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირების მიზნით სააგენტოს ხელმძღვანელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით უზრუნველყოფს:
 - ა) საგრანტო კონკურსის გამოცხადებას, საგრანტო განაცხადის მიღების ვადების დადგენას და განმცხადებლის მიერ წარსადგენი სავალდებულო დოკუმენტაციის ნუსხის განსაზღვრას;
 - ბ) საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოსადგენი საგრანტო პროექტისა და საგრანტო ანგარიშ(ებ)ის ფორმების დამტკიცებას;
 - გ) საგრანტო კომისიისა და ექსპერტთა კომისიის, ასევე ამავე კომისიების სამდივნოს შექმნას, ექსპერტთა კომისიის მუშაობაში მოწვეული პირის სტატუსით სხვადასხვა პირების მოწვევას;
 - დ) გრანტის მიმღების მიერ საგრანტო ანგარიშის წარდგენის და საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის განხორციელების წესის და ვადების დადგენას;
 - ე) საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებას გრანტის მიმღებთან;
 - ვ) სხვა საკითხების რეგულირებას, რომელიც ამ წესის მიზნებისათვის, არ შედის სხვა ორგანოს/პირის კომპეტენციაში, მაგრამ აუცილებელია საგრანტო კონკურსის ადმინისტრირებისთვის.

მუხლი 5. საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი საგრანტო პროექტების განხილვის კომისიები

1. საგრანტო კონკურსის ორგანიზებული მართვის, საგრანტო განაცხადების მიღების, განხილვის, საგრანტო კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენისა და ამ წესით გათვალისწინებული შესაბამისი საქმიანობის განხორციელების მიზნით, სააგენტოს ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება საგრანტო კონკურსის ექსპერტთა კომისია და საგრანტო კომისია. ამ პუნქტში მითითებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება კომისიების უფლებამოსილების ვადა.
2. საგრანტო კონკურსის ექსპერტთა კომისია (შემდგომში - ექსპერტთა კომისია) შედგება არანაკლებ 3 წევრისგან, სააგენტოს მიერ შერჩეული დამოუკიდებელი ექსპერტებისგან (შესაძლებელია შესაბამისი შრომის ანაზღაურებით).
3. ექსპერტთა კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე (ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დამოუკიდებელი ექსპერტი) რომელიც:
 - ა) იწვევს ექსპერტთა კომისიის სხდომებს, განსაზღვრავს ექსპერტთა კომისიის სხდომის დღის წესრიგს და უზრუნველყოფს ექსპერტთა კომისიის წევრებისათვის სხდომაზე აზრის თავისუფლად გამოხატვას;

ბ) წარმოადგენს ექსპერტთა კომისიას საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში;

4. ექსპერტთა კომისია:

ა) განიხილავს საგრანტო პროექტებს შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, აფასებს ქულათა სისტემით და დადებითად (გამსვლელი ქულით) შეფასებულ საგრანტო პროექტებს გადასცემს საგრანტო კომისიას გამარჯვებულის გამოსავლენად;

ბ) იღებს გადაწყვეტილებას ექსპერტთა კომისიის წევრის აცილების შესახებ;

გ) სააგენტოს ხელმძღვანელს წარუდგენს წინადადებას, ხმის უფლების გარეშე ექსპერტთა კომისიის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების მიზნით შესაბამისი პირების მოწვევის შესახებ;

დ) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

5. საგრანტო კომისია შედგება სააგენტოს არანაკლებ 3 თანამშრომლისა და ექსპერტთა კომისიის წევრებისგან.

6. საგრანტო კომისიის თავმჯდომარეა (შემდგომში - თავმჯდომარე) სააგენტოს ხელმძღვანელი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც განისაზღვრება კომისიის შექმნასთან დაკავშირებით გამოცემული სააგენტოს ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

7. თავმჯდომარე:

ა) იწვევს საგრანტო კომისიის სხდომებს, განსაზღვრავს საგრანტო კომისიის სხდომის დღის წესრიგს და უზრუნველყოფს საგრანტო კომისიის წევრებისათვის სხდომაზე აზრის თავისუფლად გამოხატვას;

ბ) წარმოადგენს საგრანტო კომისიას საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში;

გ) ასრულებს სხვა უფლებამოსილებებს საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესის შესაბამისად.

8. საგრანტო კომისია:

ა) ექსპერტთა კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, ქულათა სისტემით დადებითად (გამსვლელი ქულით) შეფასებული საგრანტო პროექტების საკითხის შესახებ, განიხილავს და გამარჯვებულის გამოვლენის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით (ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საგრანტო კომისიის თავმჯდომარის ხმა);

ბ) საგრანტო კომისია, საგრანტო პროექტების განხილვის პროცესში, უფლებამოსილია მოსთხოვოს განმცხადებელს დამატებითი ან სხვა საჭირო დოკუმენტაცია ან/და ფინანსურ პარამეტრებში კორექტივების შეტანა 3 (სამი) დღის ვადაში.

მუხლი 6. საგრანტო კომისიისა და ექსპერტთა კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

1. საგრანტო კომისიისა და ექსპერტთა კომისიის წევრს უფლებამოსილება უწყდება:

ა) საგრანტო კომისიისა და ექსპერტთა კომისიის უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ;

ბ) თუ იგი სასამართლოს მიერ ცნობილ იქნა შეზღუდულქმედუნარიანად, ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად, ან გარდაცვლილად;

გ) გარდაცვალების შემთხვევაში;

დ) თუ მან პირადი განცხადებით უარი თქვა წევრობაზე;

ე) თუ მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

ვ) თუ იგი არასაკატიო მიზეზით ზედიზედ ორჯერ არ მონაწილეობდა საგრანტო კომისიისა და ექსპერტთა კომისიის მუშაობაში;

ზ) სააგენტოს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლით).

მუხლი 7. ინტერესთა კონფლიქტი

1. საგრანტო კომისიისა და ექსპერტთა კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი:
 - ა) რომელიც არის განმცხადებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი;
 - ბ) რომელმაც შესაძლოა უშუალოდ მიიღოს პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი საგრანტო პროექტის გამარჯვების ან დამარცხების შემთხვევაში;
 - გ) რომელიც შრომით ურთიერთობაშია განმცხადებელთან ან/და არის განმცხადებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელის (ასევე, მმართველი ორგანოს - მაგ. გამგეობის წევრის) წევრის ნათესავი;
 - დ) რომლის საქმიანობა იწვევს დასაბუთებულ ეჭვს პირის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და ობიექტურობის შესახებ.
2. ამ წესის მიზნებისთვის ნათესავად ჩაითვლება:
 - ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;
 - ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;
 - გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;
 - დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირები ვალდებული არიან, შესაბამის კომისიას აცნობონ აცილების საფუძვლებისა და მისგან გამომდინარე, თვითაცილების შესახებ.
4. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია აცილების აუცილებლობის შესახებ შესაბამისი კომისიისთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული საგრანტო პროექტის დამტკიცებამდე, შესაბამისი კომისია აუქმებს აცილებას დაქვემდებარებული პირის მიერ გაკეთებულ შეფასებას.
5. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია აცილების აუცილებლობის შესახებ შესაბამისი კომისიისთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული საგრანტო პროექტის დამტკიცების ან/და გრანტის გაცემის შემდეგ, სააგენტოსა და გრანტის მიმღებს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულება წყდება და გრანტის მიმღებისთვის გადარიცხული გრანტი ექვემდებარება სააგენტოს ანგარიშზე დაბრუნებას.

მუხლი 8. ექსპერტთა კომისიის და საგრანტო კომისიის საქმიანობის წესი

1. ექსპერტთა კომისიის საქმიანობის წესი:

- ა) ექსპერტთა კომისიის სხდომებს იწვევს და თავმჯდომარეობს ექსპერტთა კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – ექსპერტთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დამოუკიდებელი ექსპერტი). ექსპერტთა კომისიის სხდომაზე საკითხები განიხილება დღის წესრიგის შესაბამისად;
- ბ) სხდომაზე მოწვეული უნდა იქნას ექსპერტთა კომისიის ყველა წევრი. ექსპერტთა კომისიის წევრი შეიძლება ესწრებოდეს სხდომას უშუალოდ ან ექსპერტთა კომისიის გადაწყვეტილებით მონაწილეობას იღებდეს მის მუშაობაში კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებით;
- გ) ექსპერტთა კომისია მსჯელობს და გადაწყვეტილებას იღებს დახურულ სხდომაზე;
- დ) ექსპერტთა კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი და მიიღოს მასზე გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება ექსპერტთა კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი;
- ე) ექსპერტთა კომისია განიხილავს და აფასებს საგრანტო პროექტებს შეფასების კრიტერიუმების მიხედვით ქულათა სისტემით;
- ვ) ექსპერტთა კომისია საგრანტო პროექტების შესწავლისა და განხილვის პროცესში დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვის საჭიროებასთან და ფინანსურ პარამეტრებში შესაძლო კორექტივების შეტანის რეკომენდაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, დამსწრეების ხმათა უმრავლესობით (ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია

ექსპერტთა კომისიის თავმჯდომარის (მისი არყოფნის შემთხვევაში, ექსპერტთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილის) ხმა).

ზ) საგრანტო პროექტების შეფასებას ექსპერტთა კომისია ანხორციელებს ამ წესის მე-16 მუხლის შესაბამისად, საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

თ) ექსპერტთა კომისიის გადაწყვეტილება აისახება ექსპერტთა კომისიის სხდომის ოქმში.

2. საგრანტო კომისიის საქმიანობის წესი

ა) საგრანტო კომისიის სხდომებს იწვევს და თავმჯდომარეობს საგრანტო კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – საგრანტო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (მე-5 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული პირი). საგრანტო კომისიის სხდომაზე საკითხები განიხილება დღის წესრიგის შესაბამისად;

ბ) სხდომაზე მოწვეული უნდა იქნას საგრანტო კომისიის ყველა წევრი. საგრანტო კომისიის წევრი შეიძლება ესწრებოდეს სხდომას უშუალოდ ან საგრანტო კომისიის გადაწყვეტილებით მონაწილეობას იღებდეს მის მუშაობაში კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებით;

გ) საგრანტო კომისია მსჯელობს და გადაწყვეტილებას იღებს დახურულ სხდომაზე;

დ) საგრანტო კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი და მიიღოს მასზე გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება საგრანტო კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი;

ე) საგრანტო კომისია განიხილავს ექსპერტთა კომისიის მიერ დადებითად შეფასებულ საგრანტო პროექტებს და გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით. საგრანტო კომისიის წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. საგრანტო კომისიის წევრს უფლება აქვს, საკითხზე კენჭისყრისას თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი;

ვ) გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ განსახილველ საკითხს მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრეთა ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საგრანტო კომისიის თავმჯდომარის (მისი არყოფნის შემთხვევაში, საგრანტო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის) ხმა;

ზ) გამარჯვებული საგრანტო პროექტების გამოვლენას საგრანტო კომისია ანხორციელებს ამ წესის მე-17 მუხლის შესაბამისად.

თ) საგრანტო კომისიის გადაწყვეტილება აისახება ექსპერტთა კომისიის სხდომის ოქმში.

3. ექსპერტთა კომისიის წევრები ვალდებული არიან დაიცვან კონფიდენციალობა განსახილველ დოკუმენტაციასთან და განმცხადებელთან მიმართებით.

მუხლი 9. საგრანტო კომისიისა და ექსპერტთა კომისიის სხდომის ოქმები

1. სხდომის ოქმებს ადგენს სამდივნოს თანამშრომელი, ამ წესის შესაბამისად. სხდომის ოქმებს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და საკითხის განხილვაში მონაწილე სხდომაზე დამსწრე წევრები. თუ კომისიის რომელიმე წევრი არ ეთანხმება ოქმის შინაარსს, ასეთმა წევრმა შენიშვნა წერილობითი ფორმით უნდა დაურთოს ოქმს.

2. სხდომის ოქმში შეიტანება:

ა) კომისიის დასახელება;

ბ) სხდომის დრო და ადგილი;

გ) კომისიის წევრების და მოწვეული პირების (ასეთის შემთხვევაში) სახელი, გვარი და თანამდებობა;

დ) სხდომის ოქმის შედგენაზე პასუხისმგებელი პირის – კომისიის მდივნის სახელი, გვარი და თანამდებობა;

ე) დღის წესრიგი;

ვ) საკითხის განხილვის აღწერა;

ზ) კენჭისყრის/შეფასების შედეგები;

თ) მიღებული გადაწყვეტილებები.

3. სხდომის ოქმი დგება ელექტრონულად, რომელიც ამოიბეჭდება მატერიალური სახით, ერთ ეგზემპლარად და დედნის სახით ინახება სააგენტოში.

მუხლი 10. საგრანტო კომისიისა და ექსპერტთა კომისიის სამდივნო

1. საგრანტო კომისიის და ექსპერტთა კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ და ტექნიკურ უზრუნველყოფას ანხორციელებს საგრანტო კომისიის და ექსპერტთა კომისიის სამდივნო (შემდგომში – სამდივნო), რომელსაც სააგენტოს ხელმძღვანელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის ან მის ფუნქციებს ავალებს სააგენტოს რომელიმე სტრუქტურულ ქვედანაყოფს/თანამშრომელს (სამდივნოში საქმიანობისათვის შრომის ანაზღაურება არ გაიცემა).

2. სამდივნო:

ა) ამზადებს კომისიების სხდომებს, უზრუნველყოფს კომისიების წევრთა და მოწვეულ პირთა ინფორმირებას;

ბ) უზრუნველყოფს კომისიების სხდომების ოქმების წარმოებას;

გ) უზრუნველყოფს ან ორგანიზებას უკეთებს საგრანტო კონკურსთან დაკავშირებით ინფორმაციის გამოქვეყნებას;

დ) ასრულებს კომისიების წევრებისა და კომისიების თავმჯდომარეების მითითებებს;

ე) ასრულებს კომისიების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ორგანიზაციულ და ტექნიკურ ფუნქციას.

მუხლი 11. მოწვეული პირი

1. ექსპერტთა კომისიას უფლება აქვს მიმართოს სააგენტოს ხელმძღვანელს, საგრანტო კონკურსთან დაკავშირებით დამატებითი სპეციალური ცოდნის ფარგლებში დახმარების აღმოჩენის მიზნით პირის მოწვევის შესახებ.

2. ექსპერტთა კომისია ვალდებულია წარუდგინოს მოწვეულ პირს დასკვნისათვის აუცილებელი ინფორმაცია და განუსაზღვროს საკითხთა წრე, რაზეც საჭიროა დასკვნის მიღება.

3. მოწვეული პირი ვალდებულია წარადგინოს წერილობითი დასკვნა ექსპერტთა კომისიის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში.

4. მოწვეული პირის მიერ დასკვნის წარუდგენლობა, ასევე დასკვნის დაგვიანებით ან/და არასრულყოფილად წარდგენა ხელს არ უშლის გადაწყვეტილების მიღებას.

5. მოწვეული პირის დასკვნას სარეკომენდაციო ხასიათი გააჩნია ექსპერტთა კომისიისათვის.

6. მოწვეული პირის საქმიანობა შესაძლოა იყოს ანაზღაურებადი.

მუხლი 12. საგრანტო კონკურსის პირობები

1. საგრანტო პროექტი შედგენილი უნდა იქნეს საქართველოს სახელმწიფო ენაზე.

2. წარმოდგენილი საგრანტო პროექტი უნდა შეესაბამებოდეს საგრანტო კონკურსის თემატურ მიმართულებას.

3. განმცხადებელს უფლება აქვს თითოეულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის წარადგინოს მხოლოდ ერთი საგრანტო განაცხადი.

4. საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, გრანტის ჩარიცხვა განხორციელდება საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გრანტის მიმღების ანგარიშზე, საგრანტო ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

5. გრანტის მიმღებს არ შეუძლია გასცეს ქვეგრანტი.

მუხლი 13. კონკურსის ეტაპები

კონკურსის ეტაპებია:

- ა) კონკურსის გამოცხადება;
- ბ) საგრანტო პროექტის წარდგენა;
- გ) საგრანტო პროექტის დასაშვებობის შემოწმება;
- გ) ექსპერტთა კომისიის მიერ საგრანტო პროექტების შეფასება ქულათა სისტემით საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.
- ე) ექსპერტთა კომისიის მიერ დადებითად (გამსვლელი ქულით) შეფასებული საგრანტო პროექტების საგრანტო კომისიის მიერ განხილვა და გამარჯვებულის გამოვლენა;
- ვ) საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება.

მუხლი 14. საგრანტო კონკურსის გამოცხადება

1. სააგენტო საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ სააგენტოს ხელმძღვანელის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს აქვეყნებს თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
2. საგრანტო განაცხადების მიღება დასაშვებია საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ სააგენტოს ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში.

მუხლი 15. საგრანტო განაცხადის შერჩევა

1. საგრანტო პროექტების შერჩევის პროცედურებს ანხორციელებს სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული და შერჩეულ პროექტებს უზღავნის ექსპერტთა კომისიას შემდგომი განხილვისთვის.
2. შერჩევის პროცესში საგრანტო განაცხადები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად:
 - ა) საგრანტო პროექტები, რომელთა მიმართ არსებობს განუხილველად დატოვების საფუძველი;
 - ბ) საგრანტო პროექტები, რომლებიც უნდა იქნეს განხილული;
 - გ) საგრანტო პროექტები, რომლებსაც აქვს ტექნიკური ხარვეზი და ექვემდებარება გამოსწორებას.
3. პროექტის განუხილველად დატოვების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და მასში კონკრეტულად უნდა მიეთითოს განუხილველად დატოვების საფუძველი. პროექტი ექვემდებარება განუხილველად დატოვებას, თუ ის არ აკმაყოფილებს ამ წესითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ან თუ:
 - ა) განმცხადებელმა, არ წარადგინა მოთხოვნილი დოკუმენტაცია ან დოკუმენტაცია წარადგინა მოთხოვნილი ფორმის დარღვევით ან/და წერილობითი შეტყობინებიდან 3 (სამი) დღის ვადაში არ აღმოფხვრა ტექნიკური ხარვეზი;
 - ბ) ერთი განმცხადებლის მიერ ერთ საგრანტო კონკურსზე წარდგენილია ერთზე მეტი საგრანტო პროექტი;
 - გ) განმცხადებელმა ნებაყოფლობით უარი განაცხადა საგრანტო კონკურსში მონაწილეობაზე.
4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებებისთვის საჭირო ადმინისტრაციულ საკითხებს უზრუნველყოფს სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.
5. ექსპერტთა კომისიას უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, საგრანტო კონკურსის მიმდინარეობისას განმცხადებელს მოსთხოვოს საგადასახადო დავალიანების მდგომარეობის ამსახველი ცნობა.
6. ექსპერტთა კომისია უფლებამოსილია განმცხადებელს მოსთხოვოს საგრანტო პროექტში წარმოდგენილი გარკვეული საკითხების დაზუსტება.
7. ექსპერტთა კომისია უფლებამოსილია, საგრანტო პროექტის განხილვის პროცესში, გადაწყვეტილების მიღებამდე, მიმართოს განმცხადებელს რეკომენდაციით წარმოდგენილი

საგრანტო პროექტის ფინანსურ პარამეტრებში კორექტივების შეტანის და 3 (სამი) დღის ვადაში მათი წარმოდგენის თაობაზე.

8. ექსპერტთა კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე განმცხადებელს ეცნობება წერილობით, გადაწყვეტილების მიღებიდან 7 დღეში.

მუხლი 16. საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმები

1. საგრანტო პროექტების შეფასებას ექსპერტთა კომისია ანხორციელებს სააგენტოს მიერ განსაზღვრული საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმების მიხედვით და შეფასების ქულის მინიჭებით.
2. საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმების მიხედვით მაქსიმალური შეფასება არის 100 ქულა.
3. პროექტი ითვლება საგრანტო კომისიაზე განსახილველად გასულად, თუ დააგროვებს ყველა პროექტზე მეტ ქულას, მაგრამ არანაკლებ 70 ქულას.
4. ექსპერტთა კომისიის მიერ ქულათა სისტემის გათვალისწინებით დადებითად (გამსვლელი ქულით) შეფასებული საგრანტო პროექტები გადაეცემა საბოლოო განხილვისა და გამარჯვებულის გამოსავლენად გადაწყვეტილების მისაღებად საგრანტო კომისიას.
5. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, დადებითად (გამსვლელი ქულით) შეფასებული საგრანტო პროექტის გამოვლენა (საგრანტო კომისიაზე განსახილველად გასვლისთვის) მოხდება ექსპერტთა კომისიის მიერ დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია ექსპერტთა კომისიის თავმჯდომარის (მისი არყოფნის შემთხვევაში, ექსპერტთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილის) ხმა.

მუხლი 17. გამარჯვებული საგრანტო პროექტის გამოვლენა

1. ექსპერტთა კომისიის მიერ დადებითად შეფასებულ საგრანტო პროექტებს განიხილავს საგრანტო კომისია, რომელიც საჭიროების შემთხვევაში იღებს ახსნა-განმარტებებს შესაბამისი განმცხადებლისგან. გამარჯვებულ საგრანტო პროექტს გამოავლენს ღია კენჭისყრის საფუძველზე.
2. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საგრანტო კომისიის თავმჯდომარის ხმა.
3. საგრანტო კონკურსის შედეგები საჯაროდ ქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

მუხლი 18. გადაწყვეტილების მიღების ვადა

პროექტების შერჩევის პროცედურა უნდა დასრულდეს და გამარჯვებული გამოვლინდეს საგრანტო პროექტების მიღების ვადის ამოწურვიდან არაუმეტეს 70 (სამოცდაათი) დღის ვადაში.

მუხლი 19. საგრანტო ხელშეკრულების დადება

1. სამართლებრივი ურთიერთობა სააგენტოსა და გრანტის მიმღებს შორის წესრიგდება ამ წესითა და მათ შორის დადებული საგრანტო ხელშეკრულებით.
2. საგრანტო ხელშეკრულების დადების საფუძველია საგრანტო კომისიის გადაწყვეტილება, საგრანტო პროექტის გამარჯვებულად გამოვლენის შესახებ.
3. საგრანტო პროექტის გამარჯვებულად გამოვლენის შესახებ საგრანტო კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან 10 (ათი) დღის ვადაში, სააგენტოსა და საგრანტო კონკურსში გამარჯვებულს შორის იდება საგრანტო ხელშეკრულება.
4. სააგენტო უფლებამოსილია საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე საგრანტო კონკურსში გამარჯვებულთან მოლაპარაკების საფუძველზე მოახდინოს საგრანტო პროექტის არაარსებითი საკითხების დაზუსტება/დაკორექტირება.
5. საგრანტო ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს:

- ა) მხარეთა დასახელებას და რეკვიზიტებს;
- ბ) მითითებას საგრანტო ხელშეკრულების დადების საფუძვლის შესახებ;
- გ) თემატური მიმართულებების განხორციელების აღწერას და ვადებს;
- დ) მხარეთა უფლება-მოვალეობებს;
- ე) გასაცემი გრანტის ოდენობას და გაცემის ეტაპებს, ვადას და მხარეთა საბანკო რეკვიზიტებს;
- ვ) პასუხისმგებლობის ფორმებს ვალდებულების შეუსრულებლობის გამო;
- ზ) საგრანტო ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებს და შეწყვეტის წესს;
- თ) გრანტის გამოყენებელი ნაწილის დაბრუნების მექანიზმს;
- ი) დავის გადაწყვეტის წესს;
- კ) საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის წესს (ფორმას);
- ლ) სააგენტოს მიერ საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის წესს;
- მ) საგრანტო დაფინანსების შეწყვეტის პირობებს.

6. საგრანტო ხელშეკრულება არ იდება იმ შემთხვევაში, როცა:

- ა) არსებითად შეიცვალა გარემოება, რის გამოც შეუძლებელია საგრანტო ხელშეკრულების დადება;
- ბ) გამოვლინდა საგრანტო პროექტის განუხილველად დატოვების საფუძველი;
- გ) არსებითად არის დარღვეული საგრანტო კონკურსის ჩატარების წესი.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებების აღმოფხვრიდან 5 დღის ვადაში, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას საგრანტო კონკურსში გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმების ან ხელახალი საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ.

8. ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, 5 დღის ვადაში სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას საგრანტო კონკურსის შედეგების ბათილად ცნობის შესახებ ან/და ხელახალი საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ.

მუხლი 20. გრანტის მიმღების საქმიანობაში ჩარევის დაუშვებლობა

1. გრანტის მიმღები საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ასრულებს დამოუკიდებლად და მის საქმიანობაში სააგენტოს ჩარევა დაუშვებელია.
2. გრანტის მიმღების საქმიანობაში ჩარევად არ ითვლება ამ წესით და საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელება.

მუხლი 21. საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი

1. სააგენტო ანხორციელებს საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს სააგენტოს ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული წესის შესაბამისად.
2. საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის მიზნით გრანტის მიმღები სააგენტოს წარუდგენს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საგრანტო ანგარიშს.
3. მონიტორინგი გულისხმობს, როგორც საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში სააგენტოს მიერ გადარიცხული თანხის ხარჯვის შესაბამისობის დადგენას, ასევე საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი პროექტის მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების შესრულების შემოწმებას.
4. ფინანსური მონიტორინგის განხორციელებისას:
 - ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ხარჯი;
 - ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი ხარჯი. აღნიშნული ხარჯი მისი გამწვევის მხრიდან ექვემდებარება უკან დაბრუნებას სააგენტოს ანგარიშზე;
 - გ) გრანტის აუთვისებელ ნაწილად ჩაითვლება საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული გაუხარჯავი რესურსი, რომელიც ექვემდებარება სააგენტოს ანგარიშზე დაბრუნებას.

მუხლი 22. საგრანტო პროექტის შეწყვეტა და გამოუყენებელი გრანტის დაბრუნება

1. საგრანტო პროექტი შეწყდება, თუ გრანტის მიმღებმა არ შეასრულა საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ანგარიშში წარადგინა ყალბი ინფორმაცია, ან გამოვლინდება ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევა.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გრანტის მიმღები ვალდებულია 1 თვის ვადაში დააბრუნოს მიღებული გრანტი და იგი კარგავს დარჩენილი გრანტის მოთხოვნის უფლებას.
3. გრანტის შეწყვეტასთან დაკავშირებული სხვა საკითხები რეგულირდება საგრანტო ხელშეკრულებით.
4. თუ საგრანტო პერიოდის ამოწურვის შედეგად დარჩება გამოუყენებელი თანხები, გრანტის მიმღები ვალდებულია საგრანტო პერიოდის ამოწურვიდან საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში სააგენტოს დაუბრუნოს გრანტის გამოუყენებელი ნაწილი.